

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ფაკულტეტის საბჭოს 2021 წლის 16 მარტის სხდომის

#### ოქმი #4

2021 წლის 16 მარტს შედგა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ზუსტ და საბუნების-მეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს სხდომა. სხდომა ჩატარდა ონლაინ რეჟიმში, პროგრამა ZOOM-ის გამოყენებით.

სხდომა გახსნა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რამაზ ხომერიკმა.

ფაკულტეტის საბჭოს შემადგენლობაშია 40 წევრი, სხდომას ესწრებოდა 28.

კვორუმი შედგა, სხდომა გახსნილად გამოცხადდა.

#### დღის წესრიგი:

1. პროგრამული ცვლილებების შესახებ;
2. მიმდინარე საკითხები.

1. **მოისმინეს:** დღის წესრიგის პირველი საკითხი – პროგრამული ცვლილებების შესახებ. საკითხის შესახებ ისაუბრეს ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარემ, ასოცირებულმა პროფესორმა რ.ხომერიკმა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსმა, ასოცირებულმა პროფესორმა თ.ჭელიძემ. ბატონმა რამაზმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ცვლილებები ქიმიის საბაკალავრო პროგრამაში. პროგრამას დაემატა 3 სავალდებულო საგანი (არჩევითები გადაკეთდა სავალდებულოდ). ცვლილებები სავალდებულო იყო მხოლოდ 2020 წლის 11 სექტემბრის შემდეგ ჩარიცხული სტუდენტებისათვის. სხვა სტუდენტებს, სურვილის შემთხვევაში, შეეძლოთ გაეარათ რედაქტირებული პროგრამა ან მანამდე არსებული პროგრამა, თუმცა ამისთვის დადგენილი იყო ვადა - 2021 წლის 31 სექტემბერი. ქიმიის პროფესორთა საბჭომ განიხილა და დააკმაყოფილა სტუდენტთა თხოვნა, რომ პროგრამის ძველი რედაქციის მოქმედების ვადა გაგრძელებულიყო კიდევ ერთი წლით. შემდეგ ქალბატონმა თამარმა საბჭოს წევრებს წარუდგინა ცვლილებები შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში: სამაგისტრო პროგრამა **”გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“** (დაიხვეწა პროგრამის შედეგები და პროგრამას თანახელმძღვანელად დაემატა ასისტენტ პროფესორი ნინო არჩვაძე. აღსანიშნავის, რომ რადგან პროგრამა შემუშავებულია ტემპუსის პროგრამის ფარგლებში, ასისტენტ პროფესორს უფლება აქვს უხელმძღვანელოს მას) და საბაკალავრო პროგრამაში **”ქიმია“ (ინგლისურენოვანი)** (მოხდა ტექნიკური ცვლილებები პროგრამის სტრუქტურაში და 2 ახალი ლექტორის დამატება). დაწვრილებით იხ. დანართი 1.

**აზრი გამოთქვას:** პროფესორებმა ნ.დორეულმა, ნ.შათაშვილმა, ო.ფურთუხიამ, ი.ხუციშვილმა.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ზემოხსენებულ საგანმანათლებლო პროგრამებში ცვლილებების შეტანის შესახებ.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** შევიდეს ცვლილებები ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის შემდეგ საგანმანათლებლო პროგრამებში: საბაკალავრო პროგრამა „ქიმია“, სამაგისტრო პროგრამა **„გამოყენებითი ბიომეცნიერებები და ბიოტექნოლოგია“** და საბაკალავრო პროგრამა **„ქიმია“ (ინგლისურენოვანი)** (იხ. დანართები 1).

**2. მოისმინეს:** დღის წესრიგის მეორე – მიმდინარე საკითხები. აქ განხილული იყო შემდეგი საკითხები:

- ა) სადოქტორო პროგრამა „ფიზიკის“ დოქტორანტების სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და სათაურების დამტკიცების შესახებ (პროფესორი ნ.შათაშვილი);
  - ბ) აპელაციის წესი ონლაინ წერითი გამოკითხვის დროს (ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე, ასოცირებული პროფესორი რ.ხომერიკი).
- ა) ქალბატონმა ნანა შათაშვილმა წარმოადგინა ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ფიზიკის სადისერტაციო მუდმივმოქმედი დარგობრივი კომისიის 2021 წლის 25 თებერვლის (იხ. დანართი 2) და 15 მარტის სხდომის ოქმები (იხ. დანართი 3) და შუამდგომლობით მიმართა საბჭოს წევრებს, რათა მიეღოთ გადაწყვეტილება სადოქტორო პროგრამა „ფიზიკის“ რიგ დოქტორანტებთან დაკავშირებით.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა აღნიშნულ საკითხს.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**დაადგინეს:** 1) დოქტორანტ **ვახტანგ ბარბაქაძის** სადისერტაციო თემად დამტკიცდეს **“რთული გეომეტრიის ადაპტური ანტენის კომპიუტერული მოდელირება”;**

2) დოქტორანტ **რევაზ ბერაძის** სადისერტაციო ნაშრომის ძველი სათაური „სარკული მატერიის ფენომენოლოგიური და კოსმოლოგიური გამოვლინებები“ დაზუსტდეს და შეიცვალოს შემდეგი სათაურით: **“სარკული სამყაროს მოდელის ზოგიერთი კოსმოლოგიური და ასტროფიზიკური გამოვლინება”** (Some Cosmological and Astrophysical Implications of Mirror World Model);

3) დოქტორანტ **რევაზ ბერაძეს** ნება დაერთოს წარმოადგინოს სადისერტაციო ნაშრომი ინგლისურ ენაზე, ხოლო სადისერტაციო კვლევის შედეგები წარმოადგინოს ქართულ ენაზე, რაც უნდა შეადგენდეს ინგლისურენოვანი ტექსტის არანაკლებ 25%-ს.

4)

4.1) დოქტორანტ **ბაქარ დუაძის** სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს თსუ ასოცირებული პროფესორი ამირან ბიბილაშვილი;

4.2) დოქტორანტ **გიორგი ქისტაურის** სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს თსუ ასოცირებული პროფესორი რევაზ შანიძე;

4.3) დოქტორანტ **ცოტნე დვალის** სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს თსუ პროფესორი თამაზ მძინარაშვილი;

4.4) დოქტორანტ **ქეთევან კოტორაშვილის** სამეცნიერო ხელმძღვანელად დამტკიცდეს თსუ პროფესორი ნანა შათაშვილი;

4.5) დოქტორანტ **მარიამ ქავთარაძის** სამეცნიერო ხელმძღვანელებად დამტკიცდნენ თსუ პროფესორი ნანა შათაშვილი და ე. ხარაძის აბასთუმნის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, თსუ მიხეილ ნოდუას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი, აკადემიკოსი გიორგი ჩაგელიშვილი;

4.6) დოქტორანტ თეონა გოცირიძის სამეცნიერო ხელმძღვანელებად დამტკიცდნენ თსუ ასოცირებული პროფესორი ოლეგ ხარშილაძე და ე. ხარაძის ახასთუმნის ეროვნული ასტროფიზიკური ობსერვატორიის უფროსი მეცნიერ-თანამშრომელი, ფიზ.-მათ. მეცნიერებათა დოქტორი გიორგი მამაცაშვილი.

5) დოქტორანტ ვახტანგ ბარბაქაძის ხელმძღვანელებად დამტკიცდნენ თსუ ემერიტუს პროფესორი რევაზ ზარიძე და ახალციხის უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი ვასილ ტაბატაძე.

ბ) ბატონმა რამაზ ხომერიკმა საბჭოს წევრებს გააცნო აპელაციის წესის პროექტი ონლაინ წერითი გამოკითხვის დროს. საკითხი ინიცირებული იყო კომპიუტერულ მეცნიერებათა დეპარტამენტის ხელმძღვანელის, პროფესორ მ.ხაჩიძის მიერ. პრობლემები იყო ონლაინ წერით გამოცდების დროს გადაწერის გამო, ხოლო სტუდენტებს გასაჩივრების საშუალება არ ჰქონდათ. ამიტომ, დღის წესრიგში დადგა ისეთი პროცედურის შემუშავების საკითხი, რაც შესაძლებელს გახდიდა აპელაციას ონლაინ წერითი გამოკითხვისას.

**აზრი გამოთქვას:** პროფესორებმა პროფესორებმა ა.შენგელაიამ, მ.ხაჩიძემ, ნ.შათაშვილმა, დ.დიძგურმა, ა.გამყრელიძემ, ნ.დორეულმა, ო.ფურთუხიამ, ბ.თუთბერიძემ, ი.ჩიკვაიძემ, თ.დავითაშვილმა, ი.ხუციშვილმა. აზრი გამოთქვას სტუდენტებმაც. ქალბატონმა დიანამ ყურადღება გაამახვილა, რომ ეს ალბათ ტესტურ გამოკითხვას არ უნდა შეხებოდა, თუმცა, გ.სირბილაძე არ დაეთანხმა. მსჯელობის შედეგად შეთანხმდნენ წესის შეჯერებულ ვარიანტზე.

საბჭოს თავმჯდომარემ კენჭი უყარა ონლაინ წერითი გამოკითხვისას დროს აპელაციის წესს.

**კენჭისყრის შედეგები:** მომხრე - 28, წინააღმდეგი - 0, თავი შეიკავა - 0.

**ბ) დაადგინეს:** დამტკიცდეს აპელაციის წესი ონლაინ წერითი გამოკითხვისას ნაშრომის შეფასების განულების შემთხვევაში:

1. სტუდენტის არაკეთილსინდისიერების გამოვლენისას შემფასებელს უფლება აქვს გაანულოს მთლიანად ნაშრომის ან მისი ცალკეული კომპონენტების შეფასება;
2. სტუდენტის მხრიდან აპელაციის შემთხვევაში შემფასებელი დეპარტამენტის/ფაკულტეტის ერთი წარმომადგენლის თანდასწრებით ატარებს სტუდენტთან გასაუბრებას ზუმის საშუალებით წერითი გამოცდისას არაკეთილსინდისიერების ფაქტის დადგენის/დადასტურების მიზნით;
3. ამ გამოკითხვის შეფასება საბოლოოა და გასაჩივრებას აღარ ექვემდებარება.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე,  
ასოცირებული პროფესორი რამაზ ხომერიკი



ფაკულტეტის საბჭოს მდივანი,  
ასოცირებული პროფესორი თინათინ დავითაშვილი

